ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №17-15

ქ. თბილისი 23.12. 2016 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლევან მერაბიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორისი" (შემდგომში– მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი N1-ით გათვალისწინებული მომსახურების (შემდგომში – მომსახურება) შესყიდვა (CPV72211000).
2.2. ხელშეკრულების დანართები N1 და N2 წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 1900,06 (ათას ცხრაასი ლარი და 6 თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. **მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**

4.1. მომსახურების გაწევის პერიოდია 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.
4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12ბ.

5. **ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდვლისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
5.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს სსიპ სსსტც „დელტა"-ს მიერ გამოყოფილ პირს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ღირებულება.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

7.1.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 პროცენტისა.

7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 პროცენტისა.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმწოდებლისგან ითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განსაზღვრულ ვადაში მომწოდებლის მისამართზე.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. სუბკონტრაქტორები

8.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

10.2. დაევალოს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პირებს.

10.3. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდებისა და ანგარიშსწორების ვადების დაცვის კონტროლს განახორციელებს სსსტც „დელტას“ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ლაშა მურჯიკნელი და სპეციალისტი სოფიო გავაშელიშვილი;

11. **სხვა პირობები**

11.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

11.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

11.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

11.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. #73 ტელ./ფაქსი: 295-50-27 საიდენტიფიკაციო კოდი №202297335 მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა საბანკო კოდი -TRESGE22 ანგარიშსწორების ანგარიში 707297065	შპს „ორისი“ მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12ბ ტელ: 2384343; 2383994 საიდენტიფიკაციო კოდი №206033754 საბანკო რეკვიზიტები: „საქართველოს ბანკი“-ის ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა.ა GE88BG0000000120121601
გენერალური დირექტორის მოვალეობის მაკმბრულებელი	დირექტორი
_____ ლევან მეხუზიშვილი	_____ დავით ფოთოშია

2016 წლის 23 დეკემბრის N17-15 ხელშეკრულების დანართი N1

#	მომსახურება	ერთ. ფასი	რაოდენობა	თანხა დღგ-ს გარეშე	დღგ	თანხა დღგ-ს ჩათვლით
1	პრ. განახლება A10M/U	1064,38	1	1064,38	191,59	1255,97
2	პრ. განახლება A01M/U	272,92	2	545,84	98,25	644,09
სულ: 1900,06 (ათას ცხრაასი ლარი და 6 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით						

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ლევან მერაბიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ორისი“

საიდენტიფიკაციო კოდი №206033754

დირექტორი

დავით გოთოლია

2016 წლის 23 დეკემბრის № 17-15 ხელშეკრულების დანართი №2

სალიცენზიო ხელშეკრულება

სალიცენზიო ხელშეკრულება წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს თქვენს (საბოლოო მომხამრებელს) და შპს „ორის"-ს შორის. პროგრამის დაყენებით კომპიუტერზე, მისი კოპირებით, ან მასთან მუშაობის დაწყებით, თქვენ იძლევით თანხმობას შეასრულოთ ხელშეკრულების ყველა პირობა. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ეთანხმებით ხელშეკრულების პირობებს, თქვენ არ გაქვთ იურიდიული უფლება ისარგებლოთ პროგრამით. ასეთ შემთხვევაში არ დააყენოთ პროგრამა კომპიუტერზე. პროგრამის შეძენიდან ორი კვირის განმავლობაში თქვენ გაქვთ უფლება დააბრუნოთ პროგრამის დაუზიანებელი სრული კომპლექტი, მასში შემავალი ნაბეჭდი და სხვა თანმხლები მასალა. ამის შემდეგ თქვენ დაგიბრუნდებათ მისი სრული საფასური.

საავტორო უფლება

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს „ორისი"-ს საკუთრებას და დაცულია კანონით.

სალიცენზიო უფლებები

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში - ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს „ორისი" უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს „ორისი"-ს ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს „ორისი"-ს მიერ აღნიშნულ ვადაში.

გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს „ორისი" არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს „ორისი" არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს „ორისი" წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"	შპს „ორისი"
საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335	საიდენტიფიკაციო კოდი №206033754
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
ლევან მერაბიშვილი	

პროფორმა ინვოისი N 1606

ტელ: 238-43-43
238-39-94

ORIS

თარიღი 19.12.2016

მომწოდებელი 206033754 შპს ორისი

მისამართი 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N12ბ

ბანკი BAGAGE22, თბილისი სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ანგარიში GE88BG0000000120121601

გადამხდელი დელგა

N N	საქონელი / მომსახურება	რაოდენობა	ერთეული	ერთეულის ფასი	თანხა დღგ-ს გარეშე	დღგ		თანხა დღგ-ს ჩათვლით
						განაკვეთი	თანხა	
1	პრ.განახლება A01M/U	2	მომსახურება	272.92	545.84	18	98.25	644.09
2	პრ.განახლება A10M/U	1	მომსახურება	1,064.38	1,064.38	18	191.59	1,255.97
					1,610.22		289.84	1,900.06

თანხა 1,900.06 GEL ერთი ათას ცხრაასი ლარი და 06 თეთრი

შეთავაზება ძალაშია 3 დღის განმავლობაში

დირექტორი დავით გოთოშია